FOR COMPREHENSIVE RESEARCH OF TRUSO VALLEY

თრუსოს ხეობის კომპლექსური შესწავლის საკითხისათვის

ლია ახალაძე
ისტორიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61
ORCID 0000-0003-4478-4989
liaahaladze@sou.edu.ge
საქართველო, +995577170723

ნინო შიოლაშვილი
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი. ასისტენტ პროფესორი
ქ. თბილისი ჭავჭავაძის №53ა
ORCID:0000-0003-3527-5920
nshiolashvili@yahoo.com
საქართველო +995599451039

თამარ ფხალაძე
ისტორიის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოწვეული პედაგოგი
ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
ORCID:0000-0001-7512-177X
tamar.pkhaladze@iliauni.edu.ge
საქართველო, +995593301575

გვანცა ბურდული
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი. მოწვეული სპეციალისტი
ქ. თბილისი ჭავჭავაძის №53ა
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
საქართველო, +995555999685

გელა ქისტაური
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი. მოწვეული სპეციალისტი
ქ. თბილისი ჭავჭავაძის №53ა
ORCID:0000-0002-6643-9740
gela.kistauri@yahoo.de
საქართველო +995 558 136380

აბსტრაქტი. მაღალმთიანი თრუსოს ხეობა რუსეთთან სასაზღვრო რეგიონს წარმოადგენს, რომელიც წარსულში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის, დვალეთის ნაწილი იყოდა ქართული ეთნიკურიჯგუფით - დვალებით იყო დასახლებული. დვალური მოსახლეობის ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში მიგრირებულ ოსურ მოსახლეობაში ასიმილირდა, ნაწილი კი საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში იძულებით გადასახლდა. თრუსოს ხეობაში დამკვიდრებულმა ოსებმა, თავის მხრივ, აითვისეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობისრიგი კულტურული ტრადიციები, რაზეც მეტყველებს სინთეზური არქიტექტურა, რიტუალური წესები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და ა.შ. ამდენად, თავისი ისტორიული წარსულით, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობით, მოსახლეობის ყოფის, მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარებით თრუსოს ხეობა საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან მხარეს წარმოადგენს.

თრუსოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის კომპლექსური კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცას ქართული ნარატიული, დოკუმენტური და ეპიგრაფიკულიწერილობითი ძეგლები („ძეგლი ერისთავთა“, „გერგეტის სულთა მატიანე“, „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი“, ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანის და სხვ. ცნობები.), საარქივო მასალები, XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის მონაცემები, სამეფო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტები, XVIII-XIX საუკუნეებში უცხოელ მოგზაურთა (გიულდენშტედტი, აიხვალდი, რაინექსიდასხვ) ცნობები, ქართული სამეცნიეროლიტერატურა (ნ. ბერძენიშვილი, ვ. გამრეკელი, ბ.გამყრელიძე, გ. ჩიქოვანი, ვ.ითონიშვილი, რ. თოფჩიშვილი და სხვა). XIX საუკუნეში თრუსოს ხეობაში რელიგიური ვითარების შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „ოსეთის სასულიერო კომისიისა“ (1774-1861 წწ.) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917 წწ.), ასევე საქართველოს საეგზარქოსოს კაცნელარიის ფონდში დაცული მასალები. არსებულიწყაროები თრუსოს ხეობის ისტორიის ინტერდისციპლინარული კვლევის მრავალფეროვან საფუძველს იძლევა და წარმოაჩენს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული (არქიტექტურა, მცირე ზომის ქვის რელიეფები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა არტეფაქტები) შესწავლის ძირითად პრობლემებსა და მახასიათებელებს.

საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილია რეგიონის კვლევაში არსებული ძირითადი პრობლემები: თრუსოს ისტორიული გეოგრაფია და საზღვრები, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ურთიერთმიმართების საკითხი, თრუსოს საერო არქიტექტურის (ზურგიანი კოშკების) ისტორიულ-კულტურული ნარატივი, წერილობითი კულტურის ძირითადი მახასიათებელები, სარწმუნოებრივი ვითარება თრუსოს ხეობაში, კოლექტიური კულტურული იდენტობის საკითხები და ა. შ.

საძიებო სიტყვები: თრუსო, დვალეთი, არაგვის საერისთავო, ქართული და უცხოური წყაროები, არქიტექტურა, წერილობითი კულტურა, რელიგიური ვითარება და კულტურული იდენტობა.

შესავალი. თრუსოს ხეობა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე თერგის სათავეში მდებარეობს და მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის. ჩრდილოეთით ემეზობლება რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა - ალანია; სამხრეთ-აღმოსავლეთით - დუშეთის მუნიციპალიტეტი; სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით - რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ახალგორის და ჯავის რაიონები.

დაახლოებით XVII საუკუნიდან აღნიშნულ რეგიონში ჩრდილო კავკასიიდან ოსების შემოსვლა უნდა დაწყებულიყო, რამაც მასიური ხასიათი XVIII საუკუნეში მიიღო, მათ შემოსვლას და დამკვიდრებას საქართველოს სამეფო ხელისუფლებაც უწყობდა ხელს.

თრუსო ხევთან (ყაზბეგი) ერთად, ძველი დროიდან საქართველოსთვის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ მთავარ საგზაო მაგისტრალს წარმოადგენდა. ამ გზისა და თრუსოს შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით ბერძენი მწერლისა და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. აღ 64 ახ. წ. აღ 25 წწ.) ცნობებში (ყაუხჩიშვილი, 1957: 129), ძველ ქართულ საისტორიო მწერლობასა და ისტორიულ საბუთებში, ასევე უცხოურ წერილობით ძეგლებში. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს არაერთი ევროპელი მოგზაური, დიპლომატი თუ ვაჭარი სტუმრობდა. უცხოელი მოგაზურების თვალით დანახული თრუსოს ხეობის ისტორია ორმაგად საინტერესოა. მათი ჩანაწერები მნიშვნელოვან და საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს იმდროინდელი ისტორიული რეალობის, ხალხის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. წერილობით წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხარის ეპიგრაფიკულ მასალას, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მხოლოდ ქართულენოვანია. აღნიშნულ ძეგლებს თრუსოს და მნის ხეობის ძველ არტეფაქტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მათი კომპლექსური კვლევა და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა ხელს უწყობს რეგიონში წერილობითი კულტურის განვითარების, მოსახლეობის კულტურული იდენტობის საკითხების დაზუსტებას და მრავალისხვა საინტერესო საკითხს შესწავლას.

უძველესი დროიდანვე თრუსო საქართველოსთვისმნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულკუთხეს წარმოადგენდა, ამიტომჩვენს წინაპრებს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის თავდაცვითი ნაგებობებით გამაგრებაზე ძველი დროიდანვე უზრუნიათ.აღნიშნულზე მეტყველებს რეგიონში დღემდე მრავლად შემორჩენილი ქართული ტრადიციული სამშენებლო კულტურისთვის დამახასიათებელი სამხედრო-არქიტექტურული ნაგებობები.

საუკუნეების მანძილზე კავკასიაში გაბატონებისათვის არაერთი ქვეყნის ინტერესი ეჯახებოდა ერთმანეთს. ამ მხრივ გასაკვირი არ არის, რომ რუსეთი იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც იღვწოდა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მოპოვებისათვის კავკასიაში. საკუთარი მიზნების შეფარვის მიზნით აღნიშნული ქვეყნები ხშირად იყენებდნენ მისიონერებსა თუ სასულიერო კომისიებს. ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა არც ,,ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც 1743 წელს დაარსდა ქართველი სამღვდელოების ხელმძღვანელობით. საუკუნეების მანძილზე ცნობილი იყო ქართველი სამღვდელოების ავტორიტეტი მთიელთა შორის, მათი გამოცდილება სამისიონერო საქმიანობაში და კეთილმეზობლური დამოკიდებულება თუ ნათესაური კავშირი კავკასიის მთიელებთან. ქართველი სამღვდელოება აქტიურად ჩაერთო სამისიონერო საქმიანობაში და მთელი ძალისხმევით ცდილობდა ერთ დროს ქრისტიანი მთიელების მართლმადიდებლობისაკენ შემობრუნებას და მათ შორის ქართული კულტურის პროპაგანდას. კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს „ოსეთის სასულიერო კომისიისა“ (1743-1861 წწ.) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917 წწ.) მოღვაწეობა თრუსოს ხეობაში.

საქართველოს, კერძოდ კი თრუსოს ხეობის მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მნიშვნელოვანი საქმეა.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, სისტემური ანალიზი, საველე-სამეცნიერო კვლევა და დაკვირვება.

შედეგები. მიზნის მისაღწევად დავამუშავეთ ქართული ნარატიული და დოკუმენტური წყაროები, უცხოელ მოგზაურთა ცნობები და საარქივო მასალები - „ოსეთის სასულიერო

კომისიის“(1743-1861 წწ.), „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებისა“ (1863-1917 წწ.) და საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის ფონდში დაცული დოკუმენტები; თრუსოს ხეობა აღწერილია XVIII-XIX საუკენეების არაერთი უცხოელი სწავლული მოგზაურის ჩანაწერებში. ისინი ინტერესდებოდნენ და აღწერდნენ აქ მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას, დასახლებულ პუნქტებს, მისასვლელ გზას, გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობის სამეურნეო და ყოფით ტრადიციებს. ისტორიული წყაროების სიმცირის პირობებში, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევებით მიღებულ ცნობებთან ერთად, სწორედ უცხოელთა ჩანაწერები გვიქმნის მეტ-ნაკლებად მეცნიერულ წარმოდგენებს თრუსოს ხეობის ეთნო-კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი კვლევითი ჯგუფის მიერ საველე - სამეცნიერო ექსპედიციის დროს ადგილზე შესწავლილი წერილობითი კულტურის ძეგლები, საერო და საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშები, მცირე ზომის სხვადასხვა არტეფაქტები. აღნიშნული მასალის სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა თრუსოს ხეობის კომპლექსური შესწავლის მთელი რიგი პრობლემები.მათ შორისპალეოგრაფიული თვალსაზრისით, საგულისხმოა, რეგიონის წერილობით კულტურაში წარმოდგენილი ქვის კალიგრაფიული სკოლის ლოკალური ვარიანტი, რომელიც საქართველოს მთის მხარეებისთვის არის დამახასიათებელი.

ხეობის უძველეს საერო არქიტექტურულ კომპლესებს შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზურგიანმა კოშკებმა. ისტორიული ნარატიული წყაროების, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და საველე ექსპედიციებით მოძიებული მასალის ინტეგრირებულად კვლევამ ცხადყო, რომ ზურგიანი კოშკების გენეზისი საფუძველს ქართული სააზროვნო სისტემიდან იღებს. თრუსოს და ხადას ხეობის ზურგიანი კოშკების შედარებამ დაგვანახა, რომ ისინი არქიტექტურული ნიშან-მახასიათებლებით ერთმანეთის იდენტურნი არიან, რითაც შიდა ქართლის მთიანეთში ერთნაირი თავდაცვითი საფორთიფიკაციო სამშენებლო ტრადიციები დასტურდება. ყოველივე ეს კი სხვადასხვა ყოფითი და მეცნიერულად დასაბუთებული ჭეშმარიტი ფაქტებიდან ერთ-ერთი ღირებული ისტორიული ფაქტია, რომელიც თრუსოს და მის მეზობლად მდებარე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე კვლავ აცოცხლებს ისტორიულ ჭეშმარიტებას, რის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეთნიკური და ბუნებრივი საზღვარი უძველესი დროიდანვე უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა

ჩვენს მიერ დამუშავებული XVIII-XIX სს. მასალები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში წარმოდგენილი ცნობები ნათელს ჰფენს თრუსოს ხეობაში არსებულ კულტურულ და რელიგურ ვითარებას, წარმოაჩენს იმ სირთულეებს, რომლებსაც აწყდებოდნენ სასულიერო პირები ხეობაში მოღვაწეობის დროს.

თრუსოს ხეობის შესახებ არსებული საისტორიო წყაროებისა და საველე მასალების შესწავლის საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგისაკითხები:1. თრუსოს ხეობა ჯერ ქართლის სამეფოს, შემდეგში, გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთ კარიბჭე და სასაზღვრო ზოლზე მდებერე მნიშვნელოვანი სტრატეგული მხარე იყო; 2. თრუსოში, ისევე, როგორც შიდა ქართლის მთიანეთში რეგიონის თავდაცვითი ხასიათის და სტრატეგიული მნიშვნელობის ძეგლების სამშენებლო ტრადიციები მსგავსი იყო; 2. შუა საუკუნეების თრუსოს ხეობის წერილობითი კულტურა, შესაბამისად მოსახლეობაც ქართულენოვანი იყო; 3.ეკლესიურად რეგიონის სამღვდელოება ნიქოზის საეპისკოპოსოს ექვემდებარებიდა; 4. მოგვიანებით, XVII საუკუნიდან თრუსოს ხეობაში მართლმადიდებელ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ ქრისტიანი ოსები; 4. XIX საუკუნეში თრუსოს ხეობის ეკლესიებში, ძირითადად, ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ, მიუხედავად ამისა,

წერილობითი კულტურის კორელაცია, სწორედ XIXს. II ნახევრიდან იწყება; 5. ხეობის სამრევლოებში შეინიშნებოდა სასულიერო პირების ნაკლებობა და ეკლესიების სავალალო მდგომარეობა; 6. მძიმე ვითარება იყო საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც; არ არსებობდა სასწავლებლები, სადაც შეიძლებოდა საეკლესიო განათლების მიღება, ხეობის მოსახლეობა და სასულიერო პირები განიცდიდნენ საეკლესიო წიგნების ნაკლებობას; 7. კლიმატური პირობებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, სასულიერო პირები ხშირად ტოვებდნენსამრევლოებს; 8. ახლადგაქრისტინებულ ოსებს, ესაჭიროებოდათ ეკლესია და სასულიერო პირები თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ვხედავთ, თრუსოს ხეობის შესახებ არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხები მრავალფეროვანია, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს რეგიონის კომპლექსური კვლევის გაგრძელების აუცილებლობას.

დისკუსია. თრუსოს ტერიტორიული საზღვრები - „...მთიულეთის ჩდილოთ არს ჴევი. გარდავალს გზა ჴევს... ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ჴევის მდინარეს ჴევი, და უწოდებენ შთასავალს... *ამ...ჩასავალს ზეით არს თრუსო სამჴევად. აღმოსავლით აქუს ჴევი, დასავლით ზახა და მაღრან-დვალეთი, სამჴრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული და მოზღუდვილ არს კავკასით, თჳნიერ ჴევიდამ“* (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 356-357). როგორ ამ ციტატიდან ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი სადაც საუბრობს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის ხევის შესახებ, იქვე აქვს აღწერილი თრუსოც. მაგრამ მეცნიერი აღნიშნული რეგიონის საზღვრებს არ უთითებს.

თრუსოს ტერიტორიის საზღვრები პირველად საველე ეთნოგრაფიული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერებით გ. ჩიქოვანმა შეისწავლა. დაადგინა, რომ თრუსოს ტერიტორია მოიცავს მდ. თერგის ხეობის მონაკვეთს მისი სათავეებიდან, ვიდრე ხეობის უვიწროვეს ადგილ ყაშარას//კასრა-მდე, რომელიც წარსულში დვალთა, ხოლო შემდეგ აქ ჩამოსახლებულ ოსთა სამოსახლო ტერიტორიის სასაზღვრო კარები უნდა ყოფილიყო. (ჩიქოვანი, 1985:116). მანამდე, ქართველ მეცნიერთა ნაწილს კობის ქვაბული და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია მნა თრუსოს ხეობის შემადგენელად ნაწილად მიაჩნდათ (მაკალათია ს., ზაქარაია პ., ითონიშვილი ვ., და სხვ.).

თრუსოს ეტიმოლოგია - სანამ აღნიშნული ტოპონიმის ეტიმოლოგიას შევეხებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ **თრუსოს ხეობა** ამ სახელწოდებით XIX საუკუნის დოკუმენტებში ჩნდება, XIV-XVIII სს-ების წერილობით წყაროებში იგი მხოლოდ **თრუსოდ** იხსენიება.

აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ყველაზე ძველ ქართულ წერილობით წყაროებში „თრუსუი“ „თრუსუ“ „თრუსუით“ „თრუსუს“ (ძეგლი ერისთავთა), „თრუსო“ (სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი), „თურუსო“ (XVIII ს. საბუთი საბუთი, ლიტერატურის მუზეუმი, სსლმ. 16610-ხ), ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები „თრუსუელნი“-ს (ძეგლი ერისთავთა) და „თრუსოველთაÁცა“-ს (გერეგტის სულთა მატიანე), „თურსის“ (XVIII ს., პაპუნა ორბელიანი) სახელით იხსენიება. აღნიშნულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი „თრუსოდ“ მოიხსენიებს. დროთა განმავლობაში სახელწოდებამ ფონეტიკური სახეცვლილება განიცადა და „თრუსო“ დამკვიდრდა. დღეისათვის იგი **თრუსოს ხეობის** სახელით მოიხსენიება.

ტოპონიმ თრუსოს ეტიმოლოგიას პირველმა გ. ჩიქოვანმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ სიტყვა „თურს“, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება მითითებული აქვს სულხან-საბას (ჩიქოვანი, 1985:106).

ტოპონიმი თრუსო კიდევ უფრო საფუძვლანად შეისწავლა ვახტანგ ითონიშვილმა - „თრუსო“-ს ასახსნელად ყველაზე უფრო ფასეულია ქართული **დრუსო** („ზღუდე ქვისა მაღალი, კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი“ - სულხან-საბ ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ.292;)

და **თრუსო** („ცელის პირის ასაწყობი სალესი ქვა“), რომელთა დახმარებით საძიებელი სახელი ადვილად შეიძლება გაიშიფროს, როგორც **ქვის მაღალი ზღუდე, ხერგილი, კლდეკარი** ან გააზრებულ იქნეს **ქვის სახეობის აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინებისაგან მომდინარე ტოპონიმად.** ამასთან, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „თრუსო“-ს ამდაგვარი ახსნა სრულ მხარდაჭერას პოულობს თერგის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ლანდშაფტური, ონომასტიკური თუ ეთნოგრაფიული რეალიების მხრიდანაც (ითონიშვილი, 2016:216).

თრუსოს კომპლექსური კვლევისას მთავარ საისტორიო მასალას ქართული წერილობითი წყაროები წარმოადგენენ, რომელთა მიხედვით ეს ისტორიული მხარე, ჯერ ქართლის სამეფოს, ხოლო მოგვიანებით ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ქართული ეთნიკური ტომით - დვალებით იყო დასახლებული. თრუსო სამეფო დომენი იყო, მაგრამ XIII-XIV სს-ების მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, რამდენჯერმე იქნა დარბეული საქართველოს მეფეების დავით VIII-ისა და მისი ნახევარძმა ვახტანგ III-ის დაპირისპირების გამო. იმ დროს, როდესაც მეფე ვახტანგი და მისი ერთგული ერისთავი შალვა ქვენიფნეველი მონღოლებს ურდოში ახლდნენ, დავით მეფემ ქვენიფნეველის მამული - ცხრაზმისხევი ააოხრა. ურდოდან მობრუნებულმა ქვენიფნეველმა და ვახტანგ III-მ დავით VIII-ის მომხრე მთიულეთი, ხევი და დვალეთი დალაშქრეს: „მაშინ მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვნეს და ყოველნი ციხენი **თრუსუით** აჩაბეთამდის“ (დოლიძემ,1965:106). ერთგულების ნიშნად მეფე ვახტანგ III-მ „მიუბოძა შალვას **თრუსუი,** ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჴუეთი, ჴანდოჲ, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი... აწერისჴევი, ბეჴუშე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა“ (დოლიძემ,1965:106). ამრიგად, XIV ს. დასაწყისიდან თრუსოს ქსნის ერისთავები დაეპატრონენ. XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ზურაბ არაგვის ერისთავმა ხევი დაიპყრო, 1628 წელს, თრუსოც ამ დროიდან არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. 1743 წელს არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ საერისთავო საუფლისწულო მამულად გამოცხდდა და მათ შორის თრუსოც ერეკლე II-ის შვილებს საუფლისწულოდ გადაეცა.

საუფლისწულოს მმართველობის პერიოდში უფლისწულებს თრუსოში თავისი მოხელე - მოურავი და ნაცვალი ჰყვადა. მათ მოვალეობაში მოსახლეობის აღწერა, გადასახადების აკრეფვა და ომიანობის შემთხვევაში მეომრების გამოყვანა შედიოდა.

საეკლესიო ადმინისტრაციული დაყოფით თრუსო XV ს-ის საბუთის ცნობით სამთავისის სამწყსოში შედიოდა (დოლიძე,1970:198),თუმცა თრუსოს მოსახლეობას გერგეტელ საყდრიშვილთა მიმართაც (1439 წლის საბუთის მიხედვით) გარკვეული ვალდებულება - „მოკიდებულის“ - სტატუსი გააჩნდათ, რაც ხევის სოფლებთან შედარებით უფრო იოლი, მაგრამ, მაინც გარკვეული ვალდებულებების ფორმა იყო (შარაშიძე, 1954:247).

XVII საუკუნის დასაწყისიდან (როდესაც ის არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა) 1811 წლამდე - წილკნის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ თრუსოს და ხევის მოსახლეობა კვლავ წილკნის საეპისკოპოს დაექვემდებარა.

XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე ქართულ წერილობით დოკუმენტებში თრუსოში არაქართველი მოსახლეობის არსებობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ყველაზე ადრინდელ დოკუმენტებში, როგორიც არის „ძეგლი ერისთავთა“ (XIV-XV სს. მიჯნა), „გერგეტის სულტა მატიანე“ (1439 წ.), „სამთავისის სამწყოს დრამისა და შესავლის წიგნი“ (XV ს.) თრუსოში ოსური მოსახლეობის არსებობის შესახებ ცნობები არ არის დაცული.

ვახუშტის ცნობით თრუსოს „მოსახლენიარიანოსნი, დვალნი“ ანუ XVIII ს-ის პირველ ნახევარში უკვე შერეული მოსახლეობა იყო: ადგილობრივი - დვალები და მოსული - ოსები.

საერისთავოს საუფლისწულო მამულად გადაქცევის შემდეგ ჩნდება ზოგიერთი ისეთი საბუთი, რომლებიც თრუსოში ოსურ მოსახლეობას შეეხებიან და მის შესახებ ნაწილობრივ წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას იძლევიან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსთა მასობრივი მიგრაცია უნდა მომხადრიყო საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის თრუსოშიც. 1780 წლის აღწერით თრუსოში 11 ოსური სოფელია (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-3906); 8 სოფელს უთითებს იოანე ბატონიშვილი, ხოლო მოსახლეობად ოსები ჰყავს მოხსენიებული (იოანე ბაგრატიონი, 1986:35).

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოს სამეფო კარი თაგაურელ ოსებს არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე გადმოსახლებისა და დამკვიდრების საშუალებას აძლევდა.
XVIII ს. ბოლო პერიოდის დოკუმენტური მასალები გვაწვდიან ცნობებს ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა დიდი ჯგუფების ორგანიზებული გადმოსახლების შესახებ.

1799 წელს გიორგი XII თაგაურელ ოსებს შემდეგს სწერდა: „ჩვენ მაგიერად **თაგაურთ ოსებს, რომელნიც ხიზნით აქ გადმოსასვლელნი ხართ,** ასრე გეუწყოსთ. მერმე რადგან **კიდევ გარდმოსვლა მოგინდომებიათ ხიზნით**, ჩვენც ჩვენი აზნაურშვილი გაბაშვილი ნინია გამოგვიგზავნია და ჩვენგან დაბარებულს სიტყვას ყველას ეს გიამბობსთ. თქვენც ასე ხათრიჯამნი იყავით, რომ როგორც სანატრელი Ãელმწიფე მამა ჩვენი მწყალობელი იყო თქვენი, ჩვენ კიდევ უფრო მწყალობელნიც ვიქნებით და კარგათ თვალყური გვეჭირება თქვენზედ. ჩვენს სახასოდ ყმად იქნებით, რომ სხვას ვისმე თქვენთან საქმე არავისრა ექნება, **კარგს ბინას და ადგილს გამოგირჩევთ და ასეთს ადგილს დაგაყენებთ, რომ კარგა გაგეძლებინებოდესთ.** ჯერ ხანათ ისევ დიღომს უნდა ჩამოხვიდეთ და იქ დასდგეთ და მერმე სადაც კარგს ალაგს გამოვარჩევთ, რომ თქვენიც მოსაწონი იქნება, იქ დაგაყენებთ და სიმაგრესაც გაგიკეთებთ. სანამ ხვნისა და თესვის ბინა დაგედებათ, მანამდე სულადის მოცემით ჩვენ გაგაძლებინებთ...“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Qd-1617) .

1790 წელს იოანე სახლთუხუცესი გორის მამასახლისს ავალებს, რომ არაგვის ოსები პურით, ღვინით და ყველით უზრუნველყოს (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-12580).

თვით ოსებიც ხედავდენენ საქართველოს სამეფო ხელისუფლების მზრუნველობას მათდამი. 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ საქართველოში რამდენიმე ანტიკოლონიური და ანტიბატონყმური აჯანყება მოხდა, მათ შორის იყო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება. 1804 წლის აჯანყებაში თრუსოელებიც იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ და აჯანყებულებს თანაუგრძნოდნენ.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიქმნა საქართველოს გუბერნია. თრუსო, ისევე როგორც ხევი, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით, შეიყვანეს თბილისის გუბერნიაში, რომელიც 1802-1803 წლებში ჯერ დუშეთის მაზრის შემადგენლობაში, 1803 წლიდან - ანანურის მაზრაში, ხოლო 1821-1929 წლებში კვლავ დუშეთის მაზრის შემადგენელი ნაწილი იყო. 1840 წელს მოხდა დუშეთის მაზრის რეორგანიზაცია - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება უბნებად - ხევი და თრუსოს ხეობა მთის უბნის შემადგენლობაშიშევიდა. 1930 წელს დუშეთის მაზრა გაუქმდა და მაზრის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი რაიონი - ყაზბეგის, დუშეთის და მცხეთის. თრუსოს ხეობა და ხევი ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში იყო. 2005 წლიდან დღემდე ირიცხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

გარდა ქართული ნარატიული და დოკუმენტური წყაროებისა საინტერესოა***უცხოელთა თვალით დანახული თრუსო*** - უცხოელ მოგზაურთა და მკვლევართა ჩანაწერებში დაცული ცნობები, რომლებშიც მხარის ისტორიის მრავალფეროვან პლასტს ვხვდებით. ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი შესწავლით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართა და მოგზაურთა შორის, თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა გერმანელმა სწავლულმა, პროფესიით

ექიმმა და ბუნებისმეტყველმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრმა, ი. გიულდენშტედტმა. მან1770-1773 წლებშიიმოგზაურაკავკასიაში, მოიარაყიზლარისმხარე, ყაბარდო, ოსეთიდასაქართველო (ითონიშვილი, 2006:4). გიულდენშტედტი დაწვრილებით აღწერს თავისი მოგზაურობის მარშრუტს. ასახელებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის მანძილს და ადგილობრივი თემების მმართველ პირებს - „4 ოქტომბერს კობიდან სიონამდე [ვიარეთ] 2 საათი, აჩხოტამდე კი - ½ საათი. აქ პირველად [გავედით] თერგზე და შემდეგ გავემართეთ სტეფანწმინდისკენ, რომელიც უკანასკნელი ქართული სოფელია და არის საჯდომი ქართველი აზნაურისა, რომელიც თვალყურს ადევნებს სასაზღვრო სოფლებს და მეფის მიერ მიღებული აქვს ყაზბეგის ტიტული“ (გიულდენშტედტი, 1962:179).

გიულდენშტედტი მიუთითებს თრუსოს ხეობის ბუნებრივ რესურსებზე - „ტყვიის ძარღვები არის აგრეთვე ზევით თერგზე, ქართულ მხარეში, ხევში, ძველი ციხის დარიალის მიდამოებში. ამ მხარეში, სტეფანწმინდასთან, ხშირად გვხვდება აგერთვე მარკაზიტი და გოგირდის ალმადანი ბუდეების სახით ფიქალში“ (გიულდენშტედტი, 1962:33).

თრუსოს ხეობაზე საუბრისას გიულდენშტედტი ასახელებს **ქართველებით და ოსებით** დასახლებულ სოფლებს (რესი, სივერაუტი, გიმარა, ცოცოლტა, ბურმასეკი, ხუძანი ან კარათყაუ, ვალანდებძე, დალაგდენძე, ბარსი, სუათისი, აბანო, კეთრისი). მისი მითითებით, **ეს მხარე არაგვის ერისთავის მფლობელობაში შედიოდა, თუმცა, ძლიერი და მეფისადმი ურჩი საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს დამორჩილდნენ. წინათ კი, თრუსოს რაიონი ყოველთვის ცნობდა ქართველ მეფეებს და დამოკიდებული იყო მეფის მიერ დანიშნულ ხევის მმართველებზე.** ავტორი ყურადღებას ამახვილებს ხეობაში მცხოვრები ქართველებისა და მოგვიანებით აქ დასახლებული ოსების სამეურნეო საქმიანობისა და ყოფითი კულტურის მსგავსებებზე. გიულდენშტედტი საყურადღებო ცნობას გვაწვდის 1769 წელს თრუსოს სიახლოვესქართლ-კახეთის მეფის ერეკლესა და რუსეთის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმოგზავნილი გენერლის, ტოტლებენის შეხვედრის შესახებ.

1891 წელს გერმანელმა მოგზაურმა და გეოგრაფმა გოტფრიდ მერცბახერმა მოაწყო ექსპედიცია კავკასიონზე, ხოლო 1901 წელს გამოაქვეყნა ორტომიანი ნაშრომი - „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან“. ნაშრომში წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ცნობებსა და გამოკვლევებს კავკასიის შესახებ თან ახლავს მოგზაურობის აღწერები, დასკვნები და შემოვლილი რეგიონების კარტოგრაფია და ილუსტრაციები (ნახატები, ესკიზები), მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფოტომასალა თრუსოს ხეობაში მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ. მერცბახერი სხვადასხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით წერს, რომ ჩერქეზებმა ოსების ნაწილი აიძულეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, მათ შორის თრუსოს ხეობაში გადმოსახლებულიყვნენ (გელაშვილი, 2016: 101-102; მამისიმედაშვილი, 2012:431-452).

XIX საუკუნის ფრანგმა მხატვარმა ბლანშარმა იმოგზაურა თრუსოს ხეობაში და აღწერა იქაური ბუნებრივი გარემო და არქიტექტურული ძეგლები, თავდაცვითი ნაგებობები და სისტემები - „სადგურიდან რამდენიმე ვერსზე ხეობა ფართოვდება, თერგი დუღს თავის განიერ, მისივე წყლებით მოტანილი კლდის ნატეხებით დაფარულ კალაპოტში, მაგრამ მალე ორ კლდეს შორის ექცევა და ვიწროვდება; ამ კლდეების მწვერვალებზე აღმართულია ძველი ქართული ციხესიმაგრეები (ბლანშარი, 1858: 141-145).

თრუსოს ხეობის შესახებ ცნობები დაგვიტოვა ფრანგმა სწავლულმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850) (მონპერე, 1840:172). ის საყურადღებო ცნობას გვაწვდის თრუსოს ხეობის მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების (კობი, მნა, ოქროყანა, ნოყაუ), ხეობაში (*უხათის* ხეობა (Oukhaté-don)) არსებული და დღეისთვის განადგურებული ტაძრების (კობი), ქრისტიანული სალოცავების, საყარაულო კოშკებისა და სიმაგრეების (ოქროყანა, კობი), სანადირო ადგილების

და სამიწათმოქმედო ტრადიციების შესახებ. მისი ცნობით, თრუსოს ხეობაში მოჰყავდათ ქერი, რომელიც აქ გავრცელებულ ერთადერთ მარცვლეულ კულტურას წარმოადგენდა.

გერმანელი მეცნიერ-მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი კავკასიაში 1843 წელს იმყოფებოდა. ჰაქსტჰაუზენის ცნობები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ეთნოგრაფიულს; ახასიათებს მოსახლეობას, მათი საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს, საამქრო წყობას, რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას (ჰაქსტჰაუზენი, 2011:17). ჰაქსტჰაუზენი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო გადმოცემით - გვთავაზობს თავის დასკვნას. ჰაქსტჰაუზენის ცნობათა სანდოობა შეგვიძლია შევამოწმოთ იმავე პერიოდის სხვა მოგზაურ-ავტორთა მონაცემებითაც (კარლ კოხი, მორიც ვაგნერი, კოცებუ და სხვ.), რომლებმაც ასევე ვრცელი აღწერილობები დაგვიტოვეს საქართველოსა და, კერძოდ, თრუსოს ხეობის შესახებ.

პორტერი მიუთითებს, რომ გარდა საერთო თავდაცვითი სისტემისა, ძნელად მისადგომ გამაგრებულ პუნქტებს წარმოადგენდა თითოეული დასახლებული პუნქტიც - „ჩვენ შევნიშნეთ უამრავი სოფელი კვადრატული ფუძის და პირამიდული სახურავის მქონე კოშკებით, რომლებიც გარშემორტყმული იყო კედლებით. ეს კოშკები წარმოადგენდნენ იმ შორეული პერიოდების ადგილობრივ ციხესიმაგრეებს, როდესაც მთაში მცხოვრები სხვადასხვა ტომები აწარმოებდნენ ბრძოლებს ერთმანეთის წინააღმდეგ“ (ლაიელი, 1825:469).

ხეობაში საპორტიფიკაციო სისტემის განვითარებასა და სამხედრო საქმიანობისადმი ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფნაზე მიუთითებს გერმანელი ენციკლოპედისტი, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი პალასიც - „თითქმის ყველა სოფელს შეიძლება გამაგრებული ვუწოდოთ. ეზოებს გარს ერტყმის მაღალი ქვის კედლები, საიდანაც ამოდის კოშკი, რომელიც როგორც წესი, ვიწრო კვადრატული ფორმისაა. ძველ დროს, ამ ფორტებს ადგილობრივი მაცხოვრებელი თავს აფარებდა... კავკასიის მთებს შორის, ისევე როგორც ჩრდილოეთით მომიჯნავე დაბლობებში და საქართველოში სამხრეთით, ყველა ადამიანი შეიარაღებულია, როდესაც ის ტოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს. ბიჭებიც კი არიან აღჭურვილი ხანჯლებით და ხმლებით“(Lyall, 1825:140).

გერმანელი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფილოლოგი დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი(1781-1859) ნაშრომში „კავკასიის ხალხები“ მიუთითებს ხეობის მოსახლეობის სამეურნეო კულტურაზე, აქაური სოფლების განაშენიანებასა და არქიტექტურაზე - „ჩვენ გავედით პლატოზე (ამაღლებულ ვაკეზე), რომელიც თითქმის მთლიანად შედგებოდა გაშენებული მინდვრებისგან. ხეობის მოპირდაპირე მხარეს ჩვენ დავინახეთ მთელი რიგი ქართული და ოსური სოფლები, ხოლო მარცხნივ, კლდის მწვერვალზე აღმართული იყო ძველი დედათა მონასტრის ნანგრევები, რომელსაც იცავდა მაგარი ციხე-სიმაგრე. ამ ადგილის სახელია ზიონი (Zion). მთის ძირში შევამჩნიეთ მინერალური წყაროები, რომლებიც გადმოდიოდნენ ახლომდებარე მდელოზე... კობი, რომელიც არის ბოლო სადგური და მდებარეობს კავკასიონის მაღალი უღელტეხილის ჩრდილოეთ მხარეს, შედგება მხოლოდ ყაზარმებისგან, რომლებიც განკუთვნილია ჯარისკაცებისთვის, კაზაკებისთვის...“ (მელიქიშვილი, 2011:503).

თრუსოს ხეობაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გერმანელი ლინგვისტ-ორიენტალისტი კლაპროტი(1783-1835 წწ.). მოგზაურობისას მან მოინახულა ძნელად მისადგომი ადგილები - მიაღწია ხოხის მწვერვალის (ე.წ. ისტირ-ხოღი, ანუ მაღალი ხოხი) ძირს არსებულ სოფლებამდე სივერაუტამდე, სადაც მცირე ნაკადულების შეერთებით იბადება მდინარე თერგი და რესი-მდე. ამ და სხვა მაღალთიანი სოფლების მცხოვრებლებს კლაპროტი მოიხენიებს ოსებად და აკუთვნებს მათ ოსურ ტომს ტირც-ს. მკვლევარის აზრით, სწორედ ამ ტომობრივი სახელიდან გამომდინარე უწოდებენ ქართველები ხეობას „თურსოს“ ან „თრუსოს“ უწოდებენ (იგივე, ტირცის ხეობა)(გელაშვილი,2012:275).

კლაპროტი დეტალურად აღწერს ხეობის სხვა სოფლებს და იმ მარშრუტს, რომელიც მან გაიარა. ეს სოფლებია: სივერაუტი, რესი, ტირზი, კალაგატე-კაუ, ბურმასიგკაუ (ანუ ყვითელი კოშკის-სოფელი), ქშეტრიშ კოაიტე-კაუ, ნოახ-კაუ (ახალ-სოფელი), ხუწური (იგივე, კარათ-ყაუ) და კეთუეტე-კაური (კეთრისი?) - ბოლო ორი დასახლება მოგზაურის მიერ მოხსენიებულია დიდ სოფლებად, სადაც ბევრი თავდაცვითი და საყარაულო კოშკი იდგა. სოფელ აბანოს (აბანო-კაუ) აღწერისას კლპროტი მიუთითებს, რომ აქ ცხოვრობდა 40 კომლი. სოფელი გარშემორტყმული იყო წმინდა დგილად მიჩნეული ტყით. აქ წმინდა ელიაზე სალოცავად და მისთვის მსხვერპლის (ცხვარი, იშვიათად ხარი) შესაწირად ადამიანები მეზობელი, საკმაოდ დაცილებული სოფლებიდანაც მოდიოდნენ. ცხვრის დაკვლას (შეწირვას) მცირე ღრეობა მოჰყვებოდა ხოლმე, ხოლო ტყავს, წმინდანის პატივისცემის ნიშნად ხეებზე ჰკიდებენ. აქაურ მოსახლეობას სწამდა, რომ ვინც ტყეში ხეს მოჭრიდა, დაბრმავდებოდა და მხოლოდ ხარის მსხვერპლად შეწირვის შემდეგ დაუბრუნდებოდა მხედველობა (გელაშვილი,2012:276).

თრუსოს კომპლექსური შესწავლის პროცესში, გვერდს ვერ ავუვლით, მხარის წერილობითი კულტურის ძეგლებს, მათ შორის ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს რეგიონში შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები. წერილობითი მასალის ერთად თავმყორა, კომპლექსური კვლევა და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა ბოლო დრომდე არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ თრუსო საკმაოდ აქტიურად არის წარმოდგენილი ქართულ ნარატიულ თხზულებებში, ისტორიულ საბუთებში, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, ფოკლორსა და სხვა სახის წერილობით მასალაში, რეგიონი რატომღაც ქართველი პალეოგრაფებისა და ეპიგრაფიკის მკვლევართა ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

თრუსოს ეპიგრაფიკამ ყურადღება პირველად 1957 წელს მიიქცია, როდესაც მდინარე თერგისა და სუატისის შეერთების ადგილას აღმოაჩინეს თრუსოს სტელა, რომელიც მაშინვე ჩრდილოეთ ოსეთის ა/რ-ის დედაქალაქში - ორჯონიკიძეში, ახლა ვალიდაკვაკაზში გადაუტანიათ. დღეს აღნიშნული სტელა ინახება ვლადიკავკაზის სახელმწიფო მუზეუმში და წარმოდგენილია გამოფენაზე. თრუსოს სტელას 1960 წელს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნარუსმა ლინგვისტმა გიორგი ტურჩანინოვმა, რომელმაც ძეგლი სირიულ-ნესტორიანული ანბანით დაწერილ ოსურ ტექსტად მიიჩნია. მაშინ, როდესაც სტელაზე ღიად იკითხება ქართული მხედრული ანბანი, რომელიც ლოკალური ვარიაციებით ხასიათდება და დამახასიათებელია საქართველოს მთის რეგიონების ქვის კალიგრაფიული სკოლებისთვის. საგულისხმოა, რომ გიორგი ტურჩანინოვმა მსგავსი „დაკვირვება“ და ერთგავრი სამეცნიერო „სისუტე“ გამოიჩინა, როდესაც მაიკოპში აღმოჩენილ არტეფაქტზე გამოსახული ნიშნები მსოფლიოში უძველეს აფხაზურ ანბანად, ხოლო აფხაზები ანბანური კულტურის შემქმნელ უძველეს ერად გამოაცხადა (Турчанинов, 1965: 97-108; Турчанинов,1966: 82-98). 1960 და 1965 წლებში გამოქვეყნებული შეხედულებები გიორგი ტურჩანინოვმა მომდევნო წლების პუბლიკაციებში ახალი „არგუმენტებით გაამაგრა“ და შედარებით ფართო ფორმატის გამოცემაში გაიმეორა: „კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა მწერლობისა და ენის ძეგლები“, რომელშიც პროტოკავკასიური დამწერლობის ჰიპოთეზა წარმოაყენა (Турчанинов, 1971).

გიორგი ტურჩანინოვის გარდაცვალების შემდეგ, 1989 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველოს სსრ-მ საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება გადაწყვიტა და ხელოვნურად დაუმძიმდა ურთიერთობები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებთან, „მსოფლიოში უძველესი აფხაზური ანბანისა“ და თრუსოს სტელის ალანურ-ოსური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ ტურჩანინოვისეული შეხედულებები ნოყიერი საფუძველი აღმოჩნდა ორივე რეგიონის სეპარატისტული ხელისუფლებისთვის. ცხადია, ამ ჰიპოთეზის რამდენიმე პუბლიკაცია კვლავ განხორციელდა. მაგალითად, გ. ტურჩანინოვის გარდაცვალების შემდეგ, 1990 წელს გამოქვეყნდა ნაშრომში „ოსური მწერლობისა და ენის შუა საუკუნეების უძველესი ძეგლები“ (Турчанинов: 1990),

რომელშიც ავტორი კვლავ იმეორებს თრუსოს სტელის შესახებ 1960 წელს გამოთქმულ მოსაზრებას და ასკვნის, რომ ეს არის ოსურ - ალანური კულტურის ძეგლი და ის XIV საუკუნით დაათარიღა.

გ. ტურჩანინოვის თეორიები აფხაზური და ოსური დამწერლობების შესახებ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, 1999 წელს მოსკოვში, გამოქ-ვეყნებულ წიგნში: „კავკასიის უძველესი ანბანის აღმოჩენა და გაშიფვრა (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა - IV-V სს.).“ (Турчанинов :1999). წიგნის სამეცნიერო რედაქტორი და გამომცემელი არის ი.ბ. ბასარია - ანკვაბი, ხოლო რეცენზენტები რუსი აკადემიკოსები მ.ა. კოროსტოვცევი და ა.ნ. კონონოვი, რომლებიც წიგნის გამოქვეყნების დროს 15 და 20 წლის გარდაცვლილები იყვნენ. ფაქტია, რომ ტურჩანინოვის თეორიის გაცოცხლება არ ემსახურებოდა მეცნიერების განვითარებას და სხვა ინტერესებისთვის იყო განკუთვნილი. წიგნში ცალკე თავად არის წარმოდგენილი აშუის (ძველი აფხაზურ-აბაზა-უბიხური) მწერლობისა და ენის ძეგლები. ავტორის აზრით, III ათასწლეულში ძვ.წ. აშუის ქვეყანა გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან სამხრეთით ახლანდელ მაიკოპამდე ჩრდილოეთით და სცილდებოდა მდინარე ყუბანს ჩრდილო-დასავლეთით და ფაზისს (რიონს) სამხრეთ-აღმოსავლეთით. აშუის ცივილიზაციის ყველაზე ადრეული არქეოლოგიური რეალობა იყო მაიკოპის, მტკვარ-არაქსის, დოლმენური და კოლხური კულტურები. ავტორი, აქ კვლავ ეხება თრუსოს სტელას, როგორც ალანური კულტურის ძეგლს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ტურჩანინოვის ეს მოსაზრებები არ არის გაზიარებული მეცნიერებაში, 2013 წელს კვლავ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „XIV საუკუნის I ნახევრის ოსური სირიულ- *ნესტორიანული* წარწერა (*წაკითხვის მცდელობა* და აღმოჩენის მახასიათებლები),“ რომელიც წარმოადგენს კოლექტიური მონოგრაფიის - „ალანურ-ოსური წერილობითი ძეგლები“ ერთ-ერთ პუბლიკაციას (Турчанинов 2013: 168-191).

თრუსოს სტელის ტურჩანინოვისეული წაკითხვა და ანალიზი კრიტიკას ვერ უძლებს, რის შესახებაც სხვა დროს უფრო ფართოდ გვექნება საუბარი. რაც შეეხება თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლის პრობლემატიკას, 1957 წლის აღმოჩენის შემდეგ, რეგიონში არცერთი ეპიგრაფიკული ექსპედიცია არ ჩატარებულა, შესაბამისად მისი წარწერების შესახებ მხოლოდ მშრალი ინფორმაციაა წარმოდგენილი ცალკეულ პუბლიკაციებში, რომლებიც რეგიონის არქეოლოგიურ დაზვერვას, ან ხუროთმოძღვული ძეგლების შესწავლას ეხებოდა. ამ თვალსაზრისთ საჭიროა აღინიშნოს არქეოლოგ გიორგი გოგოჭურისა და ხელოვნებათმცოდნე გიორგი ბაგრატიონის ექსპედიციები თრუსოსა და მნის ხეობებში (ბაგრატიონი, მაცაბერიძე, 2004 ა: 462; ბაგრატიონი, მაცაბერიძე, 2004, ბ: 466).

თრუსოს ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება, აღწერა, აზომვა, დასურათება და წარწე-რების პირის აღება პირველად ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძემ, თრუსოში ორგზის ჩასვლის შემდეგ, 2018-2020 წლებში განახორციელა. მკვლევარმა, პირველად შეკრიბა და შესაბამისი არქეოგრაფიული აღწერილობით, 21 ქართული წარწერა გამოაქვეყნა კოლექტიურ მონოგრაფიაში „თრუსო- ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები“ (თოფჩიშვილი და სხვები.. 2021: 129-141). ავტორმა, თრუსოს ზემოთხსენებული სტელის წარწერა ქართული წარწერების კატალოგში შეიყვანა და სრულიად სამართლიად გააკრიტიკა წარწერის გიორგი ტურჩანინოვისეული წაკითხვა.

2021 წლის სექტემბერში, თრუსოს ექსპედიციის ფარგლებში, ადგილზე შევისწავლეთ რეგიონის ეპიგრაფიკული ძეგლები და ჩავატარეთ შესაბამისი სამუშაოები. წინა კვლევებისა და ჩვენი ექსპედიციის ფარგლებში შეგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლაში გამოვლინდა მთელი რიგი საკითხები და პრობლემები.

თრუსოს ეპიგრაფიკული ძეგლების ზოგადი დახასიათებისას ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რეგიონში გვხვდება მხოლოდ ქართული წარწერები და რუსულენოვანი საფლავის ქვის ეპიტაფიები. ქართული წარწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნეა და წარწერების

უმრავლესობა საფლავის ქვის ეპიტაფიებია, რომლებიც ძირითადად, დათარიღებულია XIX, ან XX საუკუნის დასაწყისით. ყველაზე ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი ამოკვეთილია მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, საძირკვლიდან პირველივე ქვაზე. წარწერა დათარიღებულია ტაძრის მშენებლობის პერიოდით - X - XI საუკუნეებით და მოგვითხრობს ტაძრის აგების ისტორიას. ექსპედიციის დროს მოძიებულ მასალაში გვაქვს, როგორც ასომთავრული, ასევე მხედრული დამწერლობით შესრულებული ძეგლები. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ქართული წარწერები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხაზგასმით აღვიშნავთ, რომ ამ ეპოქის სხვა წერილობითი კულტურა რეგიონის ეპიგრაფიკაში არ იკითხება. გაცილებით მეტი ქართულენოვანი წარწერაა შემორჩენილი XIX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიების სახით. მოცემული მასალა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ თრუსო იყო ქართული წერილობითი კულტურის გავრცელების არეალი. უფრო მეტიც, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, თრუსომ, როგორც ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულმა რეგიონმა ქვის კალიგრაფიული სკოლის ლოკალური ვარიანტი შექმნა, რომელიც საქართველოს მთის მხარეებისთვის არის დამახასიათებელი. ამ ლოკალური ვარიანტის გამოძახილია თრუსოს სტელის მხედრული წარწერა და მომდევნო პერიოდის მხედრული ანბანით შესრულებული ყველა წარწერა თრუსოსა და მნის ხეობებში.

თრუსოს და მნის ხეობების წერილობითი კულტურა შუა საუკუნეებში ქართულენოვანია და არსებული მცირერიცხოვანი წარწერები ამის მეტყველი არგუმენტია. შუა საუკუნეებსა XIX საუკუნეში აქ, ჯერ კიდევ ლიდერობს, ქართული წერილობითი კულტურა, მაგრამ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვითარება ნელ-ნელა იცვლება, აქა-იქ შემორჩენილია ქართული წარწერები, მაგრამ ქართულ დამწერლობა თანდათან კარგავს ფუნქციას და ადგილს უთმობს მანამდე რეგიონისთვის უცხო დამწერლობას, რომელიც XX საუკუნეში, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დომინანტურ ფუნქციას ასრულებს.

რუსული წარწერების უმრავლესობა XX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიებია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება XIX საუკუნის 70-იანი და მომდევნო წლებით დათარიღებული რამდენიმე ეპიტაფია. რუსულენოვანი წარწერები, ძირითადად, საბჭოთა ეპოქისაა. და რადგან, XIX საუკუნის საფლავის ქვის წარწერებში ჭარბობს ქართული ენა, ეს გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის იმპერია, ჯერ კიდევ ვერ ახრეხებს რეგიონის სრულ კულტურულ ექსპანსიას.

თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- თრუსოს ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კატალოგის შექმნის აუცილებლობა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს რეგიონში წერილობითი კულტურის თანდათანობით კორელაციისა და ცვლილების სურათს.
- კატალოგის შექმნა ხელს შეიწყობს ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი ტოპინიმიკის, ონომასტიკური და სხვა სახის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევების გაფართოებას,
- თრუსოს და მნის ხეობის ძველი არტეფაქტების შესწავლა უნდა გაგრძელდეს არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე და რეგიონი უნდა იქცეს ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტად. ვფიქრობთ, ეს სამუშაო გაცილებით მეტ ეპიგრაფიკულ ძეგლს გამოავლენს. პირველ რიგში, არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს ეკლესიებსა და ნაეკლესიარ ადგილებში;
- აუცილებელია, ძველი სასაფლაოების, განსაკუთრებით მნის ღმრთისმშობლის წინ არსებული სამაროვანის, ასევე თრუსოს ხეობაში მდინარე თერგისა და სუატისის შესართავთან შემაღლებულ გორაკზე წარმოდგენილი ძველი სამაროვანის არქეოლოგიური შესწავლა. აქ არის როგორც XX საუკუნის, ასევე შუა საუკუნეების

სამარხები, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა მრავალ საინტერესო საკითხს მოფენს ნათელს.

საველე ექსპედიციის დროს მოპოვებულ მასალებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თრუსოს ზურგიან კოშკებს, რომლებსაც მხარის საერო ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი კონცეპტი უჭირავს. თრუსო ძველთაგანვე საქართველოს ფარგლებში შემავალი ისტორიული დვალეთის ნაწილია, სადაცქართულ, სომხურ და ანტიკურ წყაროებში მრავალგზის მოხსენიებული ეთნიკურად ქართველი დვალები ცხოვრობდნენ (ჩიქოვანი, 1985: 109). მდინარე თერგის ხეობის ქვემო წელზე და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გამაგრებას ქართველი მეფეები, რომ დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, მისი ცნობით V საუკუნეში საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა დარიალში (მდინარე თერგის ხეობა) ააშენა ციხე-სიმაგრეები და მათ მცველად ადგილობრივი ქართველი მთიელები დაადგინა, სადაც გავლა მეფის ნებართვის გარეშე ჩრდილო კავკასიაში მოსახლე უცხო ტომელებს არ შეეძლოთ (ჯუანშერი, 1955: 156).

გარდა მდინარე თერგის ქვემო ნაწილისა, ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757 წწ.) ცნობით, საქართველოს მეფეებს, მდინარე თერგის სათავის (თრუსო) ჩრდილოეთით მდებარე თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი არდონის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილი კასრის ხეობაც (ისტორიული დვალეთი) ციხე-სიმაგრეებით ჰქონიათ გამაგრებული, რათა ჩრდილო კავკასიაში მოსულ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოეღწიათ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 644-645).

კასრის კარს გვიან შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრის ფუნქცია ეკისრებოდა. კასრის ხევს ოსები ,,კასარას“ ეძახიან, რაც ოსურ ენაზე კარიბჭეს ნიშნავს. ოსი მეცნიერის ვ. აბაევის აზრით აღნიშნული ტერმინი ქართულიდან, კერძოდ კი რაჭული სიტყვა - ,,ქარსელიდან“ უნდა მომდინარეობდეს. ვ. აბაევის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გ. ჩიქოვანი და ამბობს, რომ: რაჭაში ანალოგიურ ხეობის ჩამკეტ ვიწრო ადგილებს კარი ეწოდება (და არა ქარსელი). გ. ჩიქოვანი, ი აბულაძის მიერ გამოცემული ძველი ქართული ენის ლექსიკონზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული ტოპონიმი სიტყვა *კასრიდან* უნდა მომდინარეობდეს. ძველ ქართულში ტერმინით კასრი აღინიშნებოდა ციხე კოშკი (რასაც ჩვენც ვეთანხმებით გ. ქ.) (ჩიქოვანი, 1985: 111).

წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება, თერგის ხეობის და მის ჩრდილოეთით მდებარე კუთვნილი ტერიტორიების გამაგრებას დიდ ყურადღებას უთმობდა. როგორც უკვე ვთქვით მდინარე თერგის სათავის შემკრები ხევების გეოგრაფიული არეალი იგივე თრუსო საკმაოდ მდიდარია ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლებით. ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს, მიზანმიმართული პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ისტორიული ჭეშმარიტების სრული გაყალბებით, რუსი და ოსი მეცნიერების მხრიდან ადგილი აქვს თრუსოს მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნო - ისტორიის გაყალბებას და ამ ტერიტორიაზე არსებული ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ოსური კულტურისადმი მიკუთვნების ტენდენციურ მცდელობას.

თრუსოში არსებული მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ძეგლებიდან, ამჯერად ჩვენი ყურადღება მიპყრობილია ზურგიანი კოშკებისადმი, რომელთა მდუმარებაში გაისმის ისტორიული ჭეშმარიტების ძახილი.

ამ ტიპის კოშკებს ვხვდებით არა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ ისტორიულ შიდა ქართლში (თრუსო შიდა ქართლის მთიანეთში მდებარეობს). აქაა მისი წარმოშობისა და გავრცელების არე. ყველაზე მეტია არაგვის ხეობაში, შემდეგ მოდის ქსნის ხეობა, თერგის ხეობა, რეხულა, მეჯუდა და პატარა ლიახვის ხეობები (ზაქარაია, 1962: 49).

ქართველი არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე პარმენ ზაქარაია საქართველოში ზურგიანი კოშკის წარმოშობის დროდ V-VI საუკუნეებს მიიჩნევს. მისი კვლევის თანახმად საქართველოში ზურგიანი კოშკები ძირითადად X საუკუნის ბოლომდე იგებოდა, თუმცა გვიანფეოდალურ ხანაშიც აგებდნენ, მაგრამ იშვიათად. XVII საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ამ სტილის კოშკები საერთოდ აღარ იგებოდა (ზაქარაია, 1962: 82).

ჯონდო გვასალიას კვლევის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს ხეობების - არაგვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდას, ლიახვის და თერგის სათავეების საფორტიფიკაციო ნაგებობათა შესწავლა მოწმობს, რომ ისინი წარმოადგენენ ერთიან თავდაცვით სისტემას. ამ ნაგებობათა აუცილებელ ელემენტს შეადგენს ზურგიანი კოშკი. მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია. ჩრდილოეთით ზურგიანი კოშკის გავრცელების უკიდურესი ზღვარია სოფ. გერგეტი. საქართველოს გარდა კავკასიის არც ერთ ხალხში არ გვხვდება ამ ტიპის ნაგებობანი (გვასალია, 1976: 147).

ჯ. გვასალია, ასევე განმარტავს, რომ: ვაკვირდებოდით რა არაგვის, ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, ლიახვისა და *თერგის* ხეობათა საფორტიფიკაციო ნაგებობებს, მივედით დასკვნამდე, რომ ისინი წარმოადგენდნენ ერთიან თავდაცვით სისტემას, რომელიც შექმნილი იყო ადრეფეოდალურ ხანაში. ამ ნაგებობათა აუცილებელ ელემენტს შეადგენდა ზურგიანი ანუ ქართული კოშკი. ეს თავდაცვითი სისტემა გამოიყენებოდა როგორც არაბების, ასევე ჩრდილოეთის ტომთა წინააღმდეგ (გვასალია, 1983: 60).

2021 წლის სექტემბერში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თრუსოში განხორციელებული საველე-სამეცნიერო ექსპედიციის დროს, მნაში (თრუსო) დავაფიქსირეთ ორი ზურგიანი კოშკი. მნის წყალი მდინარე თერგს მარცხნიდან ერთვის. ორივე ზურგიანი კოშკი მნის წყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. მნის წყლის თერგთან შერთვის ადგილიდან პირველ კოშკს ჩვენ პირობითად პირველ კოშკს ვუწოდებთ, ხოლო მის ზემოთ მდებარეს მეორე კოშკს.

ორივე ზურგიანი კოშკი ნაგებია საკმაოდ დიდი ლოდებით. ორივე ძლიერ არის დაზიანებული. ჩამოქცეული აქვთ ზედა სართულები. პირველი ზურგიანი კოშკი სწორი კედლით მნის წყლისკენ არის მიმართული, მისი დარჩენილი ქვედა ნაწილი მთლიანად ამოვსებულია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქვედა დარჩენილი ნაწილი თავიდანვე ყრუ იყო და მის მაღლა იწყებოდა სართულები, რომლებიც მთლიანად დანგრეულია. აღნიშნული კოშკის სწორი კედლის სიგრძეზე შეადგენს 5. 80 სმ; გვერდების სიგრძე საშუალოდ 8 მეტრს; ზურგის საწყისი გვერდითი კედლებს შორისი მანძილი 4. 70 სმ; ზურგის გარე რკალის მთლიანი გარშემოწერილობა არის 6. 40 სმ; ზურგის საწყისი კედლების სწორ ხაზსა და ზურგის ცენტრს შორის მანძილია 1. 90 სმ; ზურგის სიმაღლე მიწიდან 1. 30 სმ; წინა ბრტყელი კედლის სიმაღლე 5. 30 სმ; სამხრეთი გვერდითი კედლის სიმაღლე 4. 75 სმ, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე გვერდითი კედლის სიმაღლე 3. 75 სმ.

კოშკს, ზურგის მხარეს, მიწაში ჩასობილი უზარმაზარი ქვების ცალკეული წყება გასდევს. არ გამოვრიცხავთ, რომ მიწაში ჩასობილ ლოდებს თავისდროზე საკულტო-რელიგიური დანიშნულება გააჩნდა, მსგავსად ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში სინკრეტულსალოცავებთან არსებული საკულტო ქვებისა, რომლებთანაც, დღესაც ადგილობრივი მცხოვრებლნი ხალხურ-ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებს ატარებენ.

როგორც უკვე ვთქვით, მეორე კოშკიც მნის წყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. იგი აგებულია შემაღლებულ კონუსურ შვერილზე. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პატარა ხევი ჩამოუდის. მოგვიანებით მის გვერდით ბაზილიკური სტილის ეკლესია აუგიათ. კოშკი ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ლოდებით. შემორჩენილი სწორი კედლის მესამედი თითქმის მიწისპირამდე ჩაშლილია. პარამეტრები: სწორი კედლის სიგრძე 5. 60 სმ; გვერდითი კედლების სიგრძე 6. 10 სმ; კედლების სიგანე საშუალოდ 1.80 სმ; ზურგისკენ

მიმართული გვერდითი სწორი კედლების დაბოლოვებებს შორისი მანძილი 4. 50 სმ; კედლების დაბოლოვებების ხაზიდან ზურგი გაწეულია 1. 90 სმ.

კოშკი საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ დღემდე შემორჩენილი ზურგიან კოშკებს შორის, თავისი არქიტექტურული მახასიათებლებით უნიკალურია. მისი უნიკალურობა მდგომარეობს მისი განსაკუთრებული შიგთავსით. ამ კოშკის შემორჩენილი ქვედა ნაწილი ყრუ არ არის, ანუ მას შუაგულში დატანებული აქვს კვადრატული ფორმის სიცარიელე (ზომები: 1. 12 სმ). კოშკის სამხრეთ- აღმოსავლეთის მხრიდან მიწის ჩანგრევის შედეგად გამოჩენილია კოშკის კედელში შემავალი ძალიან ვიწრო კვადრატული ფორმის დერეფანი, რომელიც უერთდება კოშკის შუაში არსებულ ვერტიკალურ სიცარიელეს. თავის მხრივ, ძნელად, მაგრამ ჩაქცეულ მიწაში მაინც შეიმჩნევა მიწის სიღრმეში ჰორიზონტალურად მიმავალი სიცარიელე, რომლითაც კოშკი დაკავშირებული იქნებოდა მის სიახლოვეს არსებულ დანგრეულ ნაგებობებთან და ასევე პატარა ხევთან, რომელიც მას ცოტა მოშორებით ჩამოუდის.

მიწა რომ არ ჩანგრეულიყო, კოშკის გვერდით კედელში შემავალი დერეფანი არ გამოჩნდებოდა და დროთა განმავლობაში მის შუაში არსებული ვერტიკალური სიცარიელეც ქვა-ღორღით ამოივსებოდა და ჩვენ ან სხვა მკვლევარიც ამ კოშკის შემორჩენილ ქვედა ნაწილსაც ყრუდ მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, კოშკის შემორჩენილი ნაწილი მართლაც რომ უნიკალურია, მისი საშუალებით, მეტ-ნაკლები სიზუსტით, გვეძლევა ადრეული პერიოდის ზურგიანი კოშკების არქიტექტურული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია.

ჩვენ მიერ აღწერილ ზურგიან კოშკებს, ხადას ხეობის (მთიულეთი) სოფლების მიდელაურებისა და როსტიაანთ ზურგიან კოშკებთან თუ შევადარებთ აშკარად დავინახავთ მათ შორის იდენტურობას, მაგალითად: გარე პროპორციებში, ქვის დამუშავების ტექნიკაში და ზომებში, რაც თავის მხრივ მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს მთიანეთში ზურგიანი კოშკების აგების ერთნაირი არქიტექტურული ტრადიციები არსებობდა.

ხადას ხეობა ზურგიანი კოშკების სიმრავლით გამორჩეულია. მაგრამ, ჩვენს მიერ ნახსენები სოფ. მიდელაურებისა და როსტიაანთ ზურგიანი კოშკები დანარჩენი კოშკებისგან განსხვავებულია. ამ ორი სოფლის ზურგიანი კოშკები მხოლოდ ქვედა ყრუ ნაწილით არიან შემორჩენილნი, მათ არც შიგნით შესასვლელი გააჩნიათ და შუაგულიც მასიური აქვთ. აღნიშნული კოშკები არქიტექტურული თვალსაზრისით უფრო მეტ მსგავსებას თრუსოს პირველ ზურგიან კოშკთან ავლენენ. ჩვენი დაკვირვებისა და ვარაუდის მიხედვით, ხადას ხეობის ეს ორი ზურგიანი კოშკი დანარჩენებთან შედარებით უფრო არქაულია, მათ არქაულობაზე მეტყველებს კედლების მასიური სისქე და სხვებისგან განსხვავებით შედარებით დიდი და უხეშად დამუშავებული ქვები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თრუსოს ორივე ზურგიანი კოშკი თავიაანთი პროპორციებით და არქიტექტურული ნიშნებით დიდ სიახლოვეს იჩენენ მიდელაურებისა და როსტიაანის კოშკებთან. თრუსოს მეორე კოშკის სტრუქტურის გათვალისწინებით, არ გამოვრიცხავთ, რომ პირველ კოშკსაც და ხადას სოფლების მიდელაურებისა და როსტიაანის კოშკებსაც თავის დროზე მიწისქვეშა კომუნიკაციის სისტემები ჰქონოდათ,ამ საკითხის გარკვევა არქეოლოგიური ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ილია აბულაძის კვლევის გათვალისწინებით, გულდამ ჩიქოვანს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციაში შემავალი თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი ,,კასრის ხევი“ მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვა ,,კასრიდან“, რომლითაც თავის მხრივ, ძველ ქართულში ციხე-კოშკი აღინიშნებოდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კასრის ხევში იგულისხმება ხევი, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ პირველ ათასწლეულში საქართველოს სამეფო ხელისუფლებისგან ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული, ანუ ძველ ქართულად კასრის ხევი ნიშნავს ციხე-კოშკების ხევს და ჩვენი

ვარაუდით ამ კოშკებს კასრის მაგვარი ზურგი უნდა ჰქონოდათ, რომლებიც დღევანდელ დღეს ზურგიანი კოშკების სახელით არიან ცნობილი. არც ის არის გამოსარიცხი, რომ უძველესი დროიდან საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ყოფილიყო მრგვალი ფორმის კოშკები, რის გამოც, სავარაუდოდ, მათ სახელწოდებად კასრი დაუმკვიდრდათ. დროთა განმავლობაში კი მაგალითად: ახ. წ. აღ IV-V საუკუნეებიდან არქიტექტურული ფორმა უცვალეს და მივიღეთ ზურგიანი კოშკი, რომელშიც ძველმა არქიტექტურულმა ნიშანმა სიმრგვალემ მხოლოდ ერთ კედელში პოვა ასახვა, დანარჩენი სამი გვერდი კი სწორ კედლად გარდაქმნეს, რაც ძირითადად X საუკუნის ბოლომდე შენარჩუნდა, ხოლო მეათე საუკუნის შემდეგ კი ახალი ოთხ სწორკედლიანი კოშკების აგება დაიწყეს.

ჩვენს მიერ შესწავლილი მრავალფეროვანი ისტორიული მასალა სანდო ინფორმაციას გვაწვდის თრუსოს ხეობაში სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია XIX საუკუნის ისტორიამ, როდესაც 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას 1811 წელს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელიეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა. საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა პატრიარქობის ინსტიტუტი, შეიქმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც უშუალოდ რუსეთის ეკლესიის უწმინდესს და უმართებულეს სინოდს დაექვემდებარა, ხოლო მისი მართვა-გამგეობა საქართველოს ეგზარქოსს დაევალა.

რუსეთის იმპერიის პოლიტიკა, საზღვრების გაფართოების, მეზობელი ხალხების დამორჩილებისა და რუსიფიკაციის სურვილი მოითხოვდა სამისიონერო საქმის განსაკუთრებულ გააქტიურებას. 1815 წელს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით აღდგა „ოსეთის სასულიერო კომისია," რომლის უმთავრესი მიზანი კავკასიელი მთიელების, განსაკუთრებით კი ოსების მართლმადიდებლობაზე მოქცევა იყო. „კომისიის" მოღვაწეობის მიმართულება, ამჯერად, კავკასიონის სამხრეთის კალთებიდან ჩრდილოეთისაკენ განისაზღვრა. ამდენად, „ოსეთის სასულერო კომისიის" მოღვაწეობის დასაყრდენად რუსეთმა, მის მიერ უკვე ანექსირებული, საქართველო აირჩია. ოსების გაქრისტიანების პროცესიც, ამჯერად, „კომისიამ" საქართველოდან დაიწყო. „ოსეთის სასულერო კომისიის" მოღვაწეობაში აქტიურად ჩაერთო არაერთი ქართველი სასულიერო პირი, რომლებიც შიდა ქართლის მაღალმთიან ხეობებში, ოსებით დასახლებულ სოფლებში, უმძიმეს და არცთუ უსაფრთხო პირობებში მქადაგებლებად მოღვაწეობდნენ (ქოქრაშვილი, 2010:452-453).საეკლესიო პირები უშუალო შეხებაში იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, თითოეულ ოჯახთან, თითოეულ ადამიანთან და ამდენად, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტები, ცნობები ანგარიშგასაწევ მასალას იძლევიან ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციისათვის.

ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს ოსეთის სასულიერო კომისიის ან კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საქმიანობის შეფასება, არამედ ჩვენი მიზანია საარქივო მასალებზე დაყრდნობით დავადგინოთ: რა ვითარება იყო რელიგიური თვალსაზირისით თრუსოს ხეობაში, რა პრობლემების წინაშე იყვნენ სასულიერო პირები, როგორ მდგომარეობაში იყო ეკლესიები და რას ითხოვდა თრუსოს ხეობის მოსახლეობა.

ჩვენს მიერ მიკვლეულია არაერთი დოკუმენტი, კერძოდ, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მქადაგებლის არქიმანდრიტ ნიკიფორეს მოხსენებითი ბარათების ტექსტები, რომლებიც მან 1817-1818 წლებში საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წარუდგინა. ისინი შეიცავენ ღირებულ ცნობებს თრუსოს ხეობაში არსებული ვითარების შესახებ. 1817 წელს საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის სახელზე გაგზავნილ წერილში არქიმანდრიტი ნიკიფორე აცნობებს ეგზარქოსს არაგვის ხეობის სოფლებში არსებულ მდომარეობას, კერძოდ: ,,არაგვის ხეობასა შ˜ა სოფლისა თრუსოსა, გიმარ, აბანო, ქეთერისი, ოქროყანა, ამა სოფლებში ცხოვრობენ ახალ ნათელღებულნი ოვსნი. კომლი ოცდაათი 30, სული ორასთხუთმეტი 215,

სახელმწიფო კაცნი არიან, აქაც ეკლესიის აღშენება არს დანიშნული, თფილისიდამ ვერსით შორავს.

არაგვზედ ხევში. სოფლებში მნას, კორპს, უხათს, ხურთს, არიან მონათლულნი ოვსნი სულით ორმოცი. მათ მღვდელი ჰყავთ მიჩენილი, ასევე სხვებიც არიან მრავალნი, არიან ოვსნი მოსანათლავნი“ (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #93, ფურცელი 8). ამავე დოკუმენტში საუბარია თრუსოს ხეობაში ეკლესიის აშენების საჭიროებაზე: ,,მ˜დ არაგვზედ თრუსოს ხეობაში, ნასაყდრალთა თლილს ქვათა და ჩამოქცეულ მასალა ყველა გვერდ უყრია და ქვითკირით აღშენება აქა არ არის ძნელი და ადვილია“ (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #93, ფურცელი 13).

არქიმანდრიტ ნიკიფორეს მიერ 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის სახელზე კვლავ გაგზავნილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მთაში, ახალგაქრისტიანებულ მოსახლეობას ესაჭიროება სასულიერო პირები და ეკლესიის აშენება (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #137, ფურცელი 1).

სასულიერო პირების საჭიროებაზე არის საუბარი 1846 წელს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელიც თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (1844-1858) გამოგზავნოს აბანოს სამრევლოში ვინმე სასულიერო პირი. დოკუმენტი გვამცნობს, რომ აბანოს სამრევლოში ამ დროს არ ჰყავდათ მღვდელი. აღნიშნული მიზეზის გამო სამრევლოში გართულებული იყო ქრისტიანული საჭიროებების აღსრულება. ამავე დროს ანდრია გურგენიძე თავად სთავაზობს სასულიერო პირის კანდიდატურას აბანოს სამრევლოში გასამწესებლად: ,,ვბედავ და მივმართავ თქვენ ყ˜დ უსამღვდელოესობას, რომ მადლიერები ვიქნებით თუ დავნიშნავთ ვინმეს მღვდლებიდან აბანოს სამრევლოში და რეკომენდაციას ვუწევ მღვდელს ივანე ინდუაშვილის, რომელიც არა მარტო აბანოს სამრევლოსთვის იქნება სასარგებლო, არამედ ჩემთვისაც, რადგან ზამთარში დიდთოვლობისა და ზვავების გამო კობში ჩასვლა ჩემთვის ძალიან ძნელია, ამის გამო სამრევლო მოკლებული იქნებოდა არა მარტო მღვდელს, არამედ ქრისტიანულ მოთხოვნილებებს (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #11489, ფურცელი 6).

სასულიერო პირების საჭიროებაზე არაერთი საარქივო დოკუმენტი მეტყველებს, სადაც ნათქვამია, რომ რელიგური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მრევლს ესაჭიროებოდა მღვდელი.

1852 წელს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიერ საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკის - გ.ბ.) სახელზე წარდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, თუ რამდენი ადამიანი მოინათლა იმ წელს კობისა და აბანოს სამრევლოში. კერძოდ: 1852 წელს კობის სამრევლოში მონათლულა 82 მამაკაცი ოსი, ხოლო 34 ქალი; აბანოს სამრევლოში ამავე წელს მოინათლა 40 მამაკაცი და 10 ქალი. იგივე რაოდნეობა შეემატა აღსარების მთქმელთა რიცხვს (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #16229, ფურცელი 3).

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდი მრავლად მოიცავს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიერ გაგზავნილ წერილებს. 1851 წლით დათარიღებულ წერილში ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავდა საქართველოს ეგზარქოსს, რომ კობისა და აბანოს სამრევლოს ეკლესიებში მოღვაწე მღვდლებისათვის აეშენებინათ ქვის სახლები. ამისათვის გამოყოფილი იყო 500 ვერცხლის რუბლი, რომელიც უნდა გაყოფილიყო შუაზე: კობისა და აბანოს ეკლესიების მღვდლების სახლებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მღვდელმა ანდრია გურგენიძემ წარადგინა შემოსავალ-გასავლის წიგნი. შემოსავალ-გასავლის წიგნიდან ირკვევა,

ასევე იმ მუშების ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ სამღვდელო სახლების მშენებლობაში, მათ შორის იყვნენ, როგორც ქართველი ასევე ოსი ეროვნების მუშები, უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მაცხოვრებლები: ქოქაშვილები, გუდიევები, ბუჩუკურები, აგაევები, ცაბულოვები, ყარაშვილები, ბედოშვილები, პავლეშვილები...(საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #15546, ფურცელი 9).

1852 წლით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად კვლავ მღვდელი ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს ამჯერად კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გამო. ანდრია გურგენიძე იუწყება, რომ კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სახურავი ჩამონგრევის პირასაა და აუცილებელია მისი შეკეთება. საჭიროა მატერიალური დახმარება ტაძრის შესაკეთებლად. როგორც ჩანს კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის პრობლემა იმ წლებში ვერ მოგვარდა, რადგან 1858 წლით დათარიღებულ დოკუმენტში კვლავ ეს საკითხია განხილული.

როგორ ჩანს, თრუსოს ხეობის ეკლესიების სავალალო მდგომარეობა, მატერიალური რესურსის ნაკლებობა, სასულიერო პირების საცხოვრებლის პრობლემა მომდევნო წლებისთვისაც იყო დამახასიათებელი. 1859 წელს აწ უკვე კობის ეკლესიის მღვდელი ივანე ბიძიანოვიმიმართავს ეგზარქოსს და ამცნობს, რომ კობის სამრევლოში მღვდლებისათვის განკუთვნილი სახლი სავალალო მდგომარეობაშია, ოთხი ოთახიდან ოთხივე საჭიროებს შეკეთებას. ამისათვის იგი ითხოვს გამოიყოს 40 მანეთი და 500 კაპიკი ვერცხლის ფული სახლის შესაკეთებლად. საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კობის სამრევლოში მოღვაწე სასულიერო პირმა ივანე ბიძიანოვმა საქართველოს საეგზარქოსის მიერ, კობში სასულიერო პირების სახლის შესაკეთებლად გამოყოფილი თანხა 225 რუბლი ვერცხლის მანეთი მიიღო ფასანაურის ფოსტაში. ამასთანავე ივანე ბიძიანოვმა აცნობა ეგზარქოსს, რომ ის აუცილებლად წარადგენდა საეკლესიო სახლის მშენებლობის შემოსავალ-გასავლის წიგნს (საქართველოსეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #18681, ფურცელი 4-5).

ასეთი ხასიათის საარქივო მასალები მრავლად არის დაცული საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის ფონდში. საარქივო დოკუმენტები დაგვეხმარა გავცნობოდით იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ამ დროს თრუსოს ხეობაში მოღვაწეობდნენ, დაგვედგინა თუ რა პრობლემებთან უხდებოდათ მათ გამკლავება. შესწავლილი მასალებიდან შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ 1817 წლიდან 1862 წლამდე თრუსოს ხეობაში მოღვაწე სასულიერო პირები იყვნენ ქართველები, რომლებიც წირვა-ლოცვასა და სხვა საეკლესიო მსახურებას აღასრულებდნენ ქართულ ენაზე.

ზემოთმოყვანილი მრავალფეროვანი მასალის, ქართული და უცხოური ნარატიული, ასევე დოკუმენტური წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ძველი არტეფაქტების კომპლექსური კვლევა და სისტემური ანალიზი თრუსოს ხეობის იდუმალებით მოცული ისტორიის მრავალ საინტერესო ფურცელს ხდის ნათელს.

დამოწმებული საარქივო მასალა და ლიტერატურა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-3906.
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd-1617.
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-12580.
საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #93, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #93, ფურცელი 13.*

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #137, ფურცელი 1.*

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #11489, ფურცელი 6.*

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #16229, ფურცელი 3.*

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #15546, ფურცელი 9.*

საქართველოს ეროვნული არქივის *საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #488, აღწერა #1, საქმე #18681, ფურცელი 4-5.*

ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *„ქართლის ცხოვრება“.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი.

ბაგრატიონი, ი. (1986). *„ქართლ-კახეთის აღწერა“.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა. თბილისი.

ბაგრატიონი, გ. მაცაბერიძე, ბ. (2004ა). მთავარანგელოზთა ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* ტ. 2. თბილისი. გვ. 462.

ბაგრატიონი, გ. მაცაბერიძე, ბ. (2004 ბ). წმ. მარიამის ეკლესია. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 2.* თბილისი. გვ. 466.

ბლანშარი, ა. (2018). მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე დარიალის ხეობის გავლით. 1858 წ. გამოსაცემად მოამზადა ირინა *ნაჭყებიამ. „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ.* თბილისი.

გელაშვილი, გ. (2012). იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ, *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივანე ჯავახიშილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული.* N 1. თბილისი.

გელაშვილი, გ. (1962). *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I.* თბილისი.

გელაშვილი, გ. (2016). მერცბახერის (1843-1926) ცნობები აფხაზებისა და ოსების შესახებ. *კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“.* ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. N 1(18). თბილისი.

გელაშვილი, გ. (2011). *აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი.* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარი და საძიებლები დაურთო. თბილისი.

გვასალია, ჯ. (1976). არაგვის კარი (დარიალანი). *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან.* თბილისი.

გვასალია, ჯ. (1976). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები.* სქოლიო, თბილისი.

დოლიძე, ი. (1965). „ძეგლი ერსითავთა“. *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. II, თბილისი

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. III, თბილისი.

ზაქარაია, პ. (1962). სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* ტ. XXIII –B, თბილისი.

თოფჩიშვილი და სხვები.. (2021). როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ბაგრატიონი, გიორგი გაგოშიძე, გიორგი გოგოჭური, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი. *თრუსო- ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები,* როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი. გვ. 129-141.

ითონიშვილი, ვ. (2016). *დვალები და დვალეთი.* თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (2006). იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობები ქართველ მთიელთა შესახებ. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი.* ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. N VIII, თბილისი.

მამისიმედიშვილი, მ. (2012). გოტფრიდ მერცბახერი კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების შესახებ. *კრებული „კადმოსი“. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი. N4.* თბილისი:ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მელიქიშვილი, ლ. (2011). *დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი, კავკასიის ხალხები.* თბილისი.

მონპერე, ფ. (1840). *მოგზაურობა კავკასიის გარშემო.* Ab 172, ტ. IV. პარიზი. LIBRAIRIE DE GIDE. RUE DE SEINE SAINT-GERMAIN, №6 BIS.1840 წელი.

ლაიელი, რ. (1825ა). *მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში.* ტ. I. ლონდონი.

ლაიელი, რ. (1825ბ). *მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში.* ტ. II. ლონდონი.

შარაშიძე, ქ. (1954). „საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს) (გერგეტის სულთა მატიანე)“. *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის [ნაკ.] 30*, თბილისი.

ჩიქოვანი გ. (1985) „თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“. *კრ.: „მაცნე“, ისტორიის, არქოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, #2,* თბილისი.

ყაუხჩიშვილი, თ. (1957). სტრაბონის გეოგრაფია. *ცნობები საქართველოს შესახებ.* წიგნი XI, თავი III, თბილისი.

ჯუანშერი, (1955). ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ქოქრაშვილი, ხ. (2010) „ოსეთის სასულიერო კომისიის“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ). *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“.* ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, [#] 1(7), თბილისი.

Турчанинов, Г. Ф. (1965). Древнейший письменный памятник Кавказа , *Вестник древней истории.* № 3, 1965 გვ. 97-108;; № 2, 1966. გვ. 82-98;

Турчанинов, Г. Ф. (1971). *Памятники письма и языка народов Кавказа и Восточной Европы.* Ленинград.

Турчанинов, Г. Ф. (1990). *Древние и средневековые памятники осетинского письма и языка,* Владикавказ.

Турчанинов, Г. Ф. (1999). *Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа (Середина III тыс. до н. э. - IV-V вв. н. э.).* Москва.

Турчанинов, Г.Ф. (2013). Трусовская осетинская сирийско-несторианская надпись первой половины XIV столетия. (Опыт чтения и характеристики находки). *памятники Алано-Осетинской письменности.* составиели: В.А.Кузнецов, Б.Б.Басаев, В.Х. Темираев, Л.А.Чибиров. Владикавказ. стр. 168-191.

REFERENCES

k'orneli k'ek'elidzis sakhelobis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri [*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*]. Hd-3906.

k'orneli k'ek'elidzis sakhelobis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri [*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*]. Qd-1617.

k'orneli k'ek'elidzis sakhelobis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri [*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*]. Hd-12580.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 93, Sheet 8.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 93, Sheet 13.

sakartvelos 'oriis saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 137, Sheet 1.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 11489, Sheet 6.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 16229, Sheet 3.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 15546, Sheet 9.

sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [*Central Historical Archive of the National Archives of Georgia*]. Fund # 488, Description # 1, Case # 18681, Sheet 4-5.

bat'onishvili, v. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa. *„kartlis tskhovreba“.* t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. [Description of the Kingdom of Georgia. "*Life of Kartli"*, a text based on all major manuscripts. By Kaukhchishvili]. vol: IV, Tbilisi.

bagrat'ioni, i. (1986). *„kartl-k'akhetis aghts'era“.* t'ekst'i gamosatsemad moamzades, gamok'vleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma. [*"Description of Kartli-Kakheti*"]. the text for publication was prepared by Tina Enukidze and Guram Bedoshvili, who also attached the analysis and paging system. Tbilisi.

blanshari, a. (2018). mogzauroba t'pilisidan st'avrop'olamde darialis kheobis gavlit. 1858 ts'. Gamosatsemad moamzada irina nach'qebiam. *„aghmosavletsa da dasavlets shoris", iraneli da prangi avt'orebi me-19 sauk'unis sakartvelos shesakheb*. [Travel from Tbilissi (Georgia) to Stavropol via the Dariali Valley. 1858 Prepared for publication by Irina Nachkebia. *"Iranian and French Authors Between East and West on 19th Century Georgia*]. Tbilisi.

gelashvili, g. (2012). Iulius k'lap'rot'i osebis shesakheb, „akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi“, ivane javakhishilis sakhelobis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is k'rebuli. [Julius Claprot on Ossetians, Issues of New and Recent History. *Collection of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*]. N 1. Tbilisi.

gelashvili, g. (1962). *giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi* [*Guldenstedt Travel in Georgia*]. Vol. I. Tbilisi.

gelashvili, g. (2016). mertsbakheris (1843-1926) tsnobebi apkhazebisa da osebis shesakheb. *k'rebuli „akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi“.* Ivane javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'i [References of Merzbacher (1843-1926) about Abkhazians and Ossetians. *Collection "Issues of New and Recent History". Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*]. N 1 (18). Tbilisi.

gelashvili, g. (2011). *august' hakst'hauzeni sakartvelos shesakheb XIX sauk'unis p'irveli nakhevari*. Germanulidan targmna, shesavali, k'oment'ari da sadzieblebi daurto. [*August Hauxthausen on Georgia in the first half of the 19th century*]. Translation from German, introduction, comments and paging system attached.Tbilisi.

gvasalia, j. (1976)a. *aragvisk'ari (darialani), dzieban isakartvelosa da k'avk'asiis ist'oriidan* [*Aragvi Gate (Darialani), Research papers from the History of Georgia and the Caucasus*]. Tbilisi.

gvasalia, j. (1976)b. *Aghmosavlet sakartvelos ist'oriuli geograpiis nark'vevebi.* [*Essays on the Historical Geography of Eastern Georgia*]. Footnote. Tbilisi.

Dolidze, i. (1965). „dzegli ersitavta. *kartuli samartlis dzeglebi.* ["Chronicles of Princes (Dzegli Eristavta)", *Monuments of Georgian Law*]. Vol. II, Tbilisi.

Dolidze, i. (1970). *kartuli samartlis dzeglebi*. [*Monuments of Georgian Law*]. Vol. III, Tbilisi.

zakaraia, p'. (1962). Simagreta erti utsnobi sakhe. *sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe*. [One Unknown type of Fortresses. *Bulletin of the Georgian State Museum*]. Vol. XXIII –B, Tbilisi.

Itonishvili, v. (2016). *dvalebi da dvaleti*. [*Dvalis and Dvaleti*]. Tbilisi.

itonishvili, v. (2006). iohanant'on giuldensht'edt'is tsnobebi kartvel mtielta shesakheb. *ist'oriul-etnograpiuli dziebani.* Ivane javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'i. [Johann Anton Güldenstedt's information about Georgian mountaineers. *Historical-ethnographic researches.* Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology]. № VIII, Tbilisi.

mamisimedishvili, m. (2012). got'prid mertsbakheri k'avk'asiis maghalmtiani regionebis shesakheb. *k'rebuli „k'admosi". humanit'arul k'vlevata zhurnali*. [Gottfried Mertsbacher on the mountainous regions of the Caucasus. *Collection "Cadmus". Journal of Humanitarian Studies*]. N4. Ilia University Publishing House. Tbilisi.

melikishvili, l. (2011). *dit'rikh k'rist'op pon romeli. k'avk'asiis khalkhebi.* [*Dietrich Christoph von Romel, Peoples of the Caucasus*]. *Tbilisi*.

monp'ere, p. (1840). *mogzauroba k'avk'asiis garshemo.* [*Travels around the Caucasus*]. Ab 172, Vol. IV. Paris. GUIDE LIBRARY. RUE DE SEINE SAINT-GERMAIN, №6 BIS.1840.

laieli, r. (1825)a. *mogzauroba rusetshi, qirimshi, k'avk'asiasa da sakartveloshi.* [*Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia*]. T. I. London.

laieli, r. (1825)b. *mogzauroba rusetshi, qirimshi, k'avk'asiasa da sakartveloshi.* [*Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia*]. T. II. London.

sharashidze k. (1954) „sakartvelos ist'oriis masalebi (XV-XVIII ss) ("gerget'is mat'iane") – *masalebi sakartvelos da k'avk'asiis ist'oriisatvis [nak'.]* "Materials of the History of Georgia (XV-XVIII centuries) (Chronicle of Gergeti)" - *Materials for the History of Georgia and the Caucasus [Nak.]*]. 30, Tbilisi.

Chikovani, g. (1985). „trusos ist'oriuli geograpiisatvis (etnograpiuli masalebis mikhedvit)", k'r.: *„matsne", ist'oriis, arkologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria.* ["For the Historical Geography of Truso (according to ethnographic materials)", *Cr .: "Matsne", History, Archeology, Ethnography and Art History Series*]. # 2, Tbilisi.

qaukhchishvili, t. (1957). st'rabonis geograpia. *tsnobebi sakartvelos shesakheb.* [Geography of Strabo. *Information about Georgia.* Book XI, Chapter III, Tbilisi.

juansheri, (1955). Tskhovreba vakht'ang gorgaslisa. *kartlis tskhovreba.* t'ekst'I dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. Qaukhchishvilis mier. [Life of Vakhtang Gorgasali. *Life of Kartli.* text according to all major manuscripts established by S. By Kaukhchishvili] vol. I, Tbilisi.

kokrashvili, kh. (2010). „osetis sasuliero k'omisiis" arkimandrit'I nik'ipore shida kartlshi osebis gansakhlebis shesakheb (1817-1818 ts'ts'). *„akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi".* Ivane javakhishvilis ist'oriis da etnologiis inst'it'ut'i. [Nikifore, Archimandrite of the Ossetian Theological Commission, on the Settlement of Ossetians in Shida Kartli (1817-1818). - *"Issues*

of New and Recent History. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology]. [#] 1 (7), Tbilisi.

Turchaninov, G.F. (1965). The oldest written monument of the Caucasus, Vestnik ancient history. No. 3, 1965 p. 97-108 ;; No. 2, 1966. p. 82-98.

Turchaninov, G.F. (1971). Monuments of writing and language of the peoples of the Caucasus and Eastern Europe. Leningrad.

Turchaninov, G.F. (1990). Ancient and medieval monuments of the Ossetian writing and language. Vladikavkaz.

Turchaninov, G.F. (1999). *Discovery and deciphering of ancient writing of theCaucasus (Mid III millennium BC - IV-V centuries AD).* Moscow.

Turchaninov, G.F. (2013). Trusov Ossetian Syrian-nestorian inscription of the first half of the XIV century. (Reading experience and characteristics of the findings), *monuments of Alano-Ossetian writing.* composers: V.A. Kuznetsov, B.B.Basaev, V.Kh. Temiraev,L.A. Chibirov. Vladikavkaz. p. 168-191.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური გრანტით დაფინანსებული პროექტის ,,თრუსოს ხეობის დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები“-ს ფარგლებში.

საგრანტო ხელშეკრულების № FR-19-7379